უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

13.06.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე);
რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი, (შემდგომში მდივანი);
ლილი ბიბილაშვილი - შპს „HR პროფესიონალთა გილდიას'' პრეზიდენტი;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
კახაბერ ჯაყელი - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის'' პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ელენე ჯიბლაძე - ცენტრის დირექტორი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
მაკა ბერაია - ადმინისტრაციის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. ნუკრი გელაშვილი - სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი;
2. ნათია შეყილაძე - სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
3. ზვიად არძენაძე - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;
4. თინათინ ზალდასტანიშვილი - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):
დავით ბოსტოღანაშვილი;
ნინო ჯოჯუა;

თეა ნადირაძე;
გიორგი რამიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:25 სთ-ზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში 2014 წლის 9 ივნისს შემოსული იყო შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას წერილი, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვის 10 სამუშაო დღით გადადებას. აღნიშნული წერილი, ლაშა მარგიშვილმა გადასცა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის იყო დაწესებულება ავტორიზაციის მაძიებლად ცნობილი. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანება შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის თაობაზე გამოცემული იყო 2014 წლის 10 აპრილს. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან საკითხის განხილვის 10 დღით გადავადებით, წარმოების ვადა არ ირღვეოდა, საბჭოს შეეძლო ემსჯელა ამ შუამდგომლობაზე.

შესაბამისად, საბჭო ერთხმად დაეთანხმა საკითხის გადადების თაობაზე შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის ახალი წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შენიშვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა.

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების რექტორის 2013 წლის 20 თებერვლის ბრძანებებით N29ჰ/შ და N34ჰ/შ პროფესორის თანამდებობაზე დაინიშნენ პაატა ტურავა და ჯემალ ჯანაშია, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე თამარ ლალიაშვილი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აკადემიური თანამდებობის პირთა ხელმოწერით დადასტურებული ნება, რათა ჩაეთვალონ ავტორიზაციის მიზნებისათვის სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანების მე-11 მუხლის გ.ბ) პუნქტის თანახმად: „სასწავლო უნივერსიტეტში - არა უმეტეს 5 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 6-იდან 12 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 12 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 15 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა;“ სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას ვიზიტის განხორციელების პერიოდში ჰყავს 2 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი, რაც არ არის შესაბამისობაში ზემოთმოყვანილ ნორმასთან.

1.2 ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებას ჰყავს 2 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი. არსებულ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსი გამოცხადდა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით N591. საკონკურსო დოკუმენტების მიღების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 24 იანვრიდან 29 იანვრის ჩათვლით პერიოდი. კონკურსის ჩატარების თარიღი - 3 თებერვალი, შედეგების გამოქვეყნების - 6 თებერვალი. ამ კონკურსის შედეგად დაწესებულების რექტორის 2013 წლის 20 თებერვლის ბრძანებებით N29ჰ/შ და N34ჰ/შ პროფესორის თანამდებობაზე დაინიშნენ პაატა ტურავა და ჯემალ ჯანაშია, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე თამარ ლალიაშვილი.

ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა 2 კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ერთი კონკურსი გამოცხადებული იყო სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2014 წლის 10 მარტის ბრძანებით N148. საკონკურსო დოკუმენტების მიღების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 10 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით პერიოდი. კონკურსის ჩატარების თარიღი - 21 აპრილი, შედეგების გამოქვეყნების - 24 აპრილი.

მეორე კონკურსი გამოცხადებული იყო სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2014 წლის 15 აპრილის ბრძანებით N217. საკონკურსო დოკუმენტების მიღების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 15 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით პერიოდი. კონკურსის ჩატარების თარიღი - 23 მაისი, შედეგების გამოქვეყნება 27 მაისი.

დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 29 მაისს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შემდეგი კორესპონდენცია - კონკურსების ჩატარების შედეგად არჩეული 16 აკადემიური პერსონალის დანიშვნისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ იქნა აღნიშნული დოკუმენტაცია, და არჩეულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. თუმცა ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე. აკადემიის რექტორის 2014 წლის 15 აპრილის №217 ბრძანებაში ამავე წლის 25 აპრილის №233 ბრძანებით შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც კონკურსი გამოცხადდა დამატებით 4 ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად. დავით ბოსტოღანაშვილმა განმარტა, რომ 15 აპრილის ბრძანებით, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 15-19 მაისი. დავით ბოსტოღანაშვილის მოსაზრებით, სამსჯელო საკითხი იყო, დაირღვა თუ არა 2014 წლის 25 აპრილის №233 ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველო კანონის ის ნორმა, რომლის მიხედვითაც კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენი აკადემიური პერსონალი ჰყავდა აკადემიას ჯამში. დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებას ჰყავდა 16 აკადემიური პერსონალი და მათი კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საკანონმდებლო მოთხოვნებს. რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, იყო თუ არა დაფიქსირებული შენიშვნები აკადემიურ პროგრამებთან და მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნა დაფიქსირებული იყო მხოლოდ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას განსაზღვრული ჰქონდა საშტატო ნუსხა და მასში კორექტივების შეტანა საჭიროებდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ სურვილს წარმოადგენდა, არჩეულ აკადემიურ პერსონალს დაეკავებინა საშტატო თანამდებობები. 15 აპრილის ბრძანებით კონკურსი გამოცხადებული იყო 5 ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, 25 აპრილის ბრძანებით კი, აღნიშნული რიცხვი გაიზარდა 9-მდე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მათ შესაბამისი კონსულტაციები გაიარეს სამინისტროს იურიდიულ სამსახურთან და არანაირ დარღვევას არ ჰქონდა ადგილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკურსები ჩატარებული იყო ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამებოდა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. თითქმის ყველა კონკურსანტი აყვანილი იყო თანამდებობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობდა არც ერთი საჩივარი. შესაბამისად, აკადემიის რექტორმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის ან სტანდარტის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენი პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება სურდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიის სურვილი იყო განეხორციელებინა საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამა. მთავარი დამსაქმებელი იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, პროგრამა იმდენად სპეციფიკური იყო, რომ მის კურსდამთავრებულებს დასაქმების პრობლემა აღნიშნულ უწყებაში არ უნდა ჰქონოდათ.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, მისცემს თუ არა პროგრამა კურსდამთავრებულებს იმ ძირითად უნარებსა და ცოდნას, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი, ისე სამართლის დარგობრივი სტანდარტით და დადგენილი აქვს თუ არა აკადემიას პროგრამაზე დაშვების რაიმე სპეციალური წინაპირობა. დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მოთხოვნილია სამართლის ბაკალავრის ხარისხის ქონა. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილი იყო დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამებოდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრა. ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსი იძლეოდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 209467628) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

2. **შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მან დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ.

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 ყველა პროგრამის სასწავლო კურსში გამოცდის მომზადებისა და ჩაბარებისათვის გავალისწინებულია 3 საათი, ამ ფორმულირებით, გაუგებარია მათგან რა დრო არის საკონტაქტო (გამოცდის ჩაბარება) და რა დრო დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდის მომზადებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ მითითებული 3 საათი არის გამოცდის ჩაბარებისთვის გათვალისწინებული საკონტაქტო საათები, რადგან სილაბუსის სხვა ნაწილში და პროგრამაშიც გამოცდის ჩასაბარებლად მითითებულია 3 საკონტაქტო საათი.

1.2 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.2.1 პროგრამის მიზანია მომზადდეს სპეციალისტი, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევებს. ამასთან პროგრამაში საერთოდ არ არის გაშუქებული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიკუთვნებულ ეთნოლოგიის, თეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ჰუმანიტარული მიმართულების სხვა მეცნიერებების არათუ თანამედროვე მეცნიერული მიღწევები, არამედ შესაბამისი დარგის თემატიკა. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ითვალისწინებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აკადემიური ხარისხის მინიჭებას, ხოლო მისი სასწავლო კურსები მარტოოდენ ფილოლოგიის ქვედარგით - ქართული ფილოლოგიით არის ამოწურული, სახეზეა შეუსაბამობა პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის შინაარსს შორის.

1.2.2 აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია დასაქმების სფერო - კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დასაქმება არ შესაბამება კანონმდებლობას, ვინაიდან ამ პროგრამის, და დაწესებულებაში არსებული მაინორ პროგრამების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული ვერ შეძლებს დაწყებითი კლასებისა და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად დასაქმებას.

1.2.3 საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას. სილაბუსის მიხედვით სტუდენტები მხოლოდ მასწავლებლის პრაქტიკას გადიან, რაც არ არის ადეკვატური პროგრამის შინაარსისა. შესაბამისად, სტუდენტებს შესაძლებლობა არ აქვთ გაიარონ პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული დასაქმების სფეროების მიხედვით: არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში რეფერენტად, ახალი ამბებისა და საინფორმაციო სამსახურებში, თარჯიმანთა ბიუროებში.

1.2.4 პროგრამის სტრუქტურა ალოგიკურია, ვინაიდან შეიმჩნევა შემდეგი სახის ხარვეზები:

- სასწავლო კურსი ქართული ენა (სტილისტიკა) ისწავლება მე-5 სემესტრში. მისი წინაპირობაა ლექსიკოლოგია, რომელიც ასევე მე-5 სემესტრში ისწავლება.

- სასწავლო კურსების - ქართულ–აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობები, ქართულ–აზერბაიჯანული ენობრივი ტიპოლოგია, ქართველოლოგია, ანტიკური ლიტერატურა, ქართული საბავშვო ლიტერატურა - წინაპირობაა „დარგობრივი კომპეტენციის სავალდებულო სასწავლო კურსების".

1.2.5 რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურით ვერ მიიღწევა სილაბუსით გაწერილი მიზნები და სწავლის შედეგები. კერძოდ: სასწავლო კურსის ქართულ–აზერბაიჯანული ენობრივი ტიპოლოგია ძირითადი ლიტერატურა შედგება მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი ლიტერატურისგან: 1. ალი მუსაევი, ნოვრუზ ბაირამოვი, ქართული ენის გრამატიკა (აზერბაიჯანულ ენაზე), თბილისი: თბილისის სტამბა, 2008; 2, Alı Musayev, Novruz Bayramov, Gürcü Dilinin Qrammatikası (Azərbaycan dilində), Tbilisi: Tbilisis Stamba, 2008; 152; მაშინ როდესაც, საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობებში არ არის მოთხოვნილი აზერბაიჯანული ენის ცოდნა და მისი შესწავლა არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით.

1.2.6 სასწავლო კურსის უახლესი ქართული ლიტერატურა „მიზნად ისახავს უახლესი ქართული ლიტერატურის ტექსტებზე მუშაობას, საკვანძო საკითხების ჩვენებას თანამედროვეობასთან და მის პრობლემებთან მიმართებაში, უახლესი ქართული ლიტერატურული მიმდინარეობებისა და მათი სპეციფიკურობის გაანალიზებას, უახლესი ლიტერატურის განხილვას უცხოურ ლიტერატურასთან კონტექსტში". ამასთან, კურსის სწავლის შედეგი - ცოდნა და გაცნობიერება ითვალისწინებს „სტუდენტი იცნობს უახლესი ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ერკვევა ეპოქის მსოფლმხედველობრივ ორიენტირებასა და ესთეტიკურ ღირებულებებში, გაცნობიერებული აქვს უახლესი ქართული ლიტერატურის როლი ლიტერატურული პროცესების განვითარებაში და პირიქით, გლობალური ლიტერატურული და ისტორიული პროცესების გავლენა ქართულ ლიტერატურაზე, მისი მხატვრული და შემეცნებითი ღირებულებები". სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ - ვ.კოტეტიშვილი - ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX საუკუნე თბ., 1959; აღნიშნული სახელმძღვანელო ვერ უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, ვინაიდან ითვალისწინებს მხოლოდ მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის და არა უახლესი ლიტერატურის შესწავლას.

აღსანიშნავია, რომ იგივე ლიტერატურა, როგორც ერთადერთი ძირითადი სახელმძღვანელო მითითებულია ქართულ ლიტერატურაში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში: „XX საუკუნის ქართული პოეზია“ და „XX საუკუნის ქართული პროზა“. ამ სახელმძღვანელოთი (მისი შინაარსიდან გამომდინარე) შეუძლებელია სამაგისტრო პროგრამის აღნიშნული სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა.

იგივე სახელმძღვანელოა ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობების (სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი) ერთადერთი ძირითადი სახელმძღვანელო. სასწავლო კურსის მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე გაუგებარია, ძირითად სახელმძღვანელოდ ამ წიგნის მითითება.

1.2.7 პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობა მიუღწევადია, ვინაიდან სილაბუსის მიხედვით, „სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და შესრულებული პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.„ პროგრამის მიხედვით, 5 სასწავლო კურსი ისწავლება საბაკალავრო ნაშრომის პარალელურად, იმავე სემესტრში.

1.3 კომპიუტინგის საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.3.1 პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში მითითებულია „უცხოური ენა“ მაშინ როდესაც პროგრამით ისწავლება ინგლისური ენა და სხვა ენის სილაბუსები არ ყოფილა წარმოდგენილი.

1.3.2 პროგრამის სტრუქტურა არათანმიმდევრულია, ვინადაინ: კომპიუტინგის პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობა მიუღწევადია, რადგან სილაბუსის მიხედვით „სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და შესრულებული პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები“. პროგრამის მიხედვით 5 სასწავლო კურსი ისწავლება საბაკალავრო ნაშრომის პარალელურად, იმავე სემესტრში.

პრაქტიკის სილაბუსში არ არის მოყვანილი პრაქტიკის შინაარსი, მითითებულია რომ მუშაობა უნდა წარიმართოს „შეთანხმებული გეგმის შესაბამისად“.

1.3.3 არათანმიმდევრულია საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების მეთოდოლოგია, კერძოდ, PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების) მეთოდი, კომპიუტინგის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მეთოდების ჩამონათვალში, ორჯერ არის მოხსენიებული სხვადასხვა შინაარსით.

1.4 ასევე არსებობს შენიშვნები კურსების შინაარსთან და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით:

- კომპიუტერული გრაფიკისა და მულტიმედია სისტემების სასწავლო კურსის შედეგები ითვალისწინებს ვექტორული და რასტრული გრაფიკული პროგრამების გამოყენების კომპეტენციის შეძენას სტუდენტებისათვის, ამასთან, სასწავლო თემატიკაში განიხილება გამოსახულების კომპიუტერში შექმნის პრინციპები და არ ისწავლება გრაფიკული რედაქტორები, ხოლო სასწავლო მასალად გამოყენებულია 2007 წლის ლიტერატურა.

- ამავე დროს, შეინიშნება თემატური გადაფარვები სასწავლო კურსებს შორის. ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო კურსის მე-10 მე-15 კვირაში ისწავლება ცხრილური პროცესორი Microsoft Excel, და ამ კვირებში განხილული საკითხები მეორდება

5. [illegible]

ინფორმაციული ტექნოლოგიები 2-ის სასწავლო კურსში (ცხრილური რედაქტორი Excel). გამოყენებულია ანალოგიური ლიტერატურა (საბაშვილი, სტურუა).

1.5 ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში არსებული შენიშვნები:

- პროგრამის შესაბამისად, კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში (Master of Human Sciences in Georgian Literature)", რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ავტორიზაციის სტანდარტს.

- აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ამ პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი იყო „მაგისტრი ფილოლოგიაში".

1.5.1 სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობასთან მიმართებით ასევე არის შენიშვნები:

- ექსპერტების მოსაზრებით, სასწავლო კურსი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები და მიმდინარეობები უნდა იყოს XIX საუკუნის ქართული პოეზიის წინაპირობა და ეს ორი საგანი არ უნდა ისწავლებოდეს ერთმანეთის პარალელერურად, რადგან XIX საუკუნის ქართული პოეზიის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში წერია, რომ შეუძლია ეპოქაში არსებული ვითარების ახსნა-შეფასება. შეძლებს დააკავშიროს და შეაპირისპიროს XIX საუკუნის ლიტერატურაში არსებული ტენდენციები, ხოლო ყოველივე ამას სწავლობს სასწავლო კურსი - XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემებსა და მიმდინარეობებში, რომლის სწავლის შედეგია: მაგისტრანტს აქვს ღრმა ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიაში XIX საუკუნეში მიმდინარე რთულ პროცესებზე, უმნიშვნელოვანესი საკითხების გათვალისწინებით, რაც ძირითადად გულისხმობს აღნიშნული ეპოქის ძირითად ლიტერატურულ მიმდინარეობათა (რომანტიზმის, რეალიზმის, ნატურალიზმის, ნეორომანტიზმის, სიმბოლიზმის) სპეციფიკური გამოვლენა–განვითარების განხილვას ქართველ მწერალთა შემოქმედებაში; ამავე სასწავლო კურსით მიუღწევადია სწავლის შედეგი „შეძლებს დააკავშიროს და შეაპირისპიროს XX საუკუნის ლიტერატურაში არსებული ტენდენციები", რადგან XX საუკუნის ლიტერატურის შესწავლა (სასწავლო კურსები „XX საუკუნის ქართული პოეზია" და „XX საუკუნის ქართული პროზა") პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგ სემესტრში;

სასწავლო კურსის - XIX საუკუნის ქართული პროზის მიზანია „....გააკეთებინოს შედარებითი ანალიზი ამავე ეპოქის ევროპული პროზის ესთეტიკურ თავისებურებებთან მიმართებით. მათთან ტიპოლოგიების დაძებნა-დადგენა.."ასევე, სწავლის შედეგი „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კრიტიკულად შეაფასოს, გააკეთოს შედარებითი ანალიზი ამავე ეპოქის ევროპული პროზის ესთეტიკურ თავისებურებებთან,". ამავე ეპოქის ევროპულ პროზას ამ საგანმანათლებლო პროგრამაში არ სწავლობენ, ამ თემატიკის შესწავლა არც შინაარსში და ლიტერატურაში იკვეთება. შესაბამისად, შეუძლებელია სასწავლო კურსის მიზანზე და სწავლის შედეგებზე გასვლა.

1.6 მენეჯმენტის დამატებით (მაინორ) პროგრამაში არსებული შენიშვნები:

1.6.1 დამატებითი პროგრამის სტრუქტურა ასევე არათანმიმდევრულია, კორპორაციული მენეჯმენტის სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობები, რაც გაურკვეველია, ვინაიდან სასწავლო კურსის თემატიკა განიხილავს ეკონომიკის კატეგორიებს, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანალიზის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის სხვა ინსტიტუტებს, რომელშიც კომპეტენცია კომპიუტინგის პროგრამის ძირითად სპეციალობის კურსდამთავრებულებს პრერეკვიზიტი საგნების გავლის გარეშე ვერ ექნებათ. ასევე

წინაპირობა არ აქვს ამავე პროგრამის ინვესტიციებისა და პროექტების მართვის სასწავლო კურსს, რომელშიც ახსნილია ინვესტიციების ფინანსური ანალიზის, მარჟის გაანგარიშების, საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ცნებები. არ აქვს წინაპირობა ასევე სტრატეგიულ,,ინოვაციურ, ფინანსური რისკების, პროექტების მენეჯმენტს - რომლებიც ეყრდნობა მენეჯმენტის კურსის საკითხებს.

1.7 ანალოგიური სიტუაცია არის ფინანსების დამატებით პროგრამაში, რომლის სასწავლო კურსები, საინვესტიციო საქმე, ფინანსური ეკონომიკა, საჯარო ფინანსები, ფინანსები და კრედიტი, ფინანსური აღრიცხვა და სხვა ისწავლება წინაპირობების გარეშე.

ამავე დროს, სასწავლო კურსებში „ფინანსები" და „ფინანსების თეორია" არსებობს მნიშვნელოვანი თემატური გადაფარვები: თემა: ფინანსური პოლიტიკა და ფინანსების მართვა ფინანსები II კვირა, ფინანსური თეორია - III კვირა, თემა: საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა - ორივე სასწავლო კურსში V კვირა, თემა სახელმწიფო ბიუჯეტი, ხარჯები და შემოსავლები - ორივე სასწავლო კურსში VII კვირა, არასაბიუჯეტო სპეციალური - ორივე სასწავლო კურსში VIII კვირა და ა.შ.

1.8 საქართველოს ისტორიის დამატებითი (მაინორ) პროგრამით გათვალისწინებული დასაქმების სფერო - სარეკლამო სააგენტოები, ჟურნალ-გაზეთების რედაქცია, საგამომცემლო ცენტრი და სხვა - სცილდება მაინორ პროგრამით შესასწავლი დამატებითი სპეციალობის კურსდამთავრებულის კომპეტენციებს.

1.9 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რიგ შემთხვევაში არ ითვალისწნებს რელევანტურ ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, კერძოდ:

- ქართული ენისა და ლიტერატურის და კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამებისათვის კატალოგში არ არის გაწერილი ღირებულებების კომპეტენცია.
- ისტორიის მაინორ პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული 6 კომპეტენციის შესაბამისად და განსხვავდება საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგებისგან.
- კატალოგში არ არის ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ.
- ქართული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მესამე კომპეტენცია კატალოგში ფორმულირებულია შეცდომით, კვალიფიკაციათა ჩარჩო ითვალისწინებს არა "არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარის", არამედ „დასკვნის უნარის" კომპეტენციას.

1.10 საგანმანათლებლო პროგრამებით გაწერილ სწავლის შედეგებში შეინიშნება შემდეგი ხარვეზები:

1.10.1 კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამის პროფესიული პრაქტიკის ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენციაა - „იცავს პრაქტიკაში ეთიკური ნორმებს", „შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს თავისი სამუშაო გამოცდილება, იზრუნოს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე";

1.10.2 მენეჯმენტის დამატებით საგანმანათლებლო პროგრამაში კომუნიკაციისა და სწავლის უნარების კომპეტენციის დარგობრივი სწავლის შედეგები არ არის აღწერილი, მოცემულია მხოლოდ კომპეტენციების ზოგადი ფორმულირება.

1.11 სასწავლო დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც

გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებაში. დებულების მიხედვით, მუხლი 21.1 სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად უნდა არსებობდეს ამ დებულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი და დადგენილ ვადაში დაწესებულებას უნდა წარედგინოს: (გრძელდება ჩამონათვალი). დებულების მიხედვით მე-15 მუხლი ეხება აკადემიური თანამდებობების დაკავებას.

1.12 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო/არჩევით საგნებზე დარეგისტრირდება რეგისტრირების ელექტრონული პროგრამით, რომელიც განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სტუდენტს შეეძლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი / სავალდებულო საგნების / ძირითადი / დამატებითი სპეციალიზაციების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება/დარეგისტრირება. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა რეგისტრირების ელექტრონული პროგრამა. პროგრამაში არსებული ფუნქცია გააქტიურებული არ არის, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამები ელექტრონულ პროგრამაში ჯერ შეყვანილი არ არის. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამების შეყვანა ელექტრონულ პროგრამაში სწავლის დაწყებამდე დასრულდება.

1.13 დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტების მობილობის მიზნით პროგრამების აღიარების თაობაზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სასწავლო ფართი ნაწილობრივ არის აღჭურვილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სასწავლო რესურსით, კერძოდ: კომპიუტერის არქიტექტურის სასწავლო კურსში გათვალისწინებულია კომპიუტერის დაშლა-აწყობა, რისთვისაც დაწესებულებას არ გააჩნია სათანადო ლაბორატორია, კომპიუტერების ნაწილებითა და ხელსაწყოებით.

2.2 დაწესებულებას აქვს ორი კომპიუტერული კლასი, სტუდენტური სარგებლობისათვის 9 ნოუთბუქითა და 12 დესკტოპ კომპიუტერით. კომპიუტერულ აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი არ არის აღჭურვილი კომპიუტინგის საგანმანათლებლო პროგრამის ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფით (MySQL Server, Adobe Illustrator, AdobePhotoshop და სხვა) ხოლო ნაწილზე გამოყენებულია Microsoft Windows XP ოპერაციული სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში Microsoft Windows 7 შეისწავლება.

2.3 დაწესებულებას არ აქვს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ბაზა ან /და პრაქტიკის პარტნიორი, კომპიუტინგის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პრაქტიკული შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი რესურსით.

2.4 დაწესებულებას სამართლებრივი აქტების შესაბამისად აქვს ჩამოყალიბებული სტრუქტურა და გაწერილი და განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, თუმცა: დაწესებულების სტრუქტურა და სრუქტურული ერთეულის ფუნქციები გაუმართავია, შეუსაბამობაა დაწესებულების სამართლებრივ აქტებსა და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შორის, კერძოდ,

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულების და ვებ გვერდზე განთავსებული სტრუქტურის მიხედვით უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც, ვებგვერდზე მოყვანილი ინფორმაციით (მთავარი-ჩვენს შესახებ - სამსახურები): ჰქვია ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახური,

სტრუქტურაში მითითებული, საფინანსო სამეურნეო და უსაფრთხოების სამსახური არის საფინანსო სამეურნეო სამსახური. აგრეთვე, ვებგვერდზე განთავსებულ სტრუქტურაში არ არის კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტების რეგისტრაციის სამსახური და ა შ.

2.5 ვიზიტის დროს გადამოწმდა რამოდენიმე სილაბუსის შესაბამისი ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში - მათი მოძიება მოხერხდა დამაკმაყოფილებელი სიჩქარით. გამონაკლისი იყო ქართული ენის საგნმანათლებლო პროგრამა, რომელიც ვიზიტის დროს 22 მაისს გაუქმდა კიდეც აკადემიური საბჭოს მიერ. უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. დაწესებულების ვებგვერდზე არის ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი.

2.6 დაწესებულების ყველა დოკუმენტში ვებგვერდის მისამართი მითითებულია, როგორც www.heydaruni.edu.ge/ რომლის მეშვეობით ვებგვერდზე შესვლა შეუძლებელია. დაწესებულების ვებგვერდის რეალური მისამართია http://heydaruni.edu.ge/

ვებგვერდი არ ასრულებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებული ინფორმაციის არარელევანტურობის გამო, კერძოდ: განყოფილებაში „პროფესიული პრაქტიკა“ http://heydaruni.edu.ge/PagesGe.aspx?PageID=20 განთავსებულია ინფორმაცია „ქართული ენისა და ლიტერატურის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი განათლებისა და ისტორიის, სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, საფინანსო საბანკო და სადაზღვეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ, რაც არარელევანტურია საავტორიზაციო განაცხადისა და დაწესებულების ბრძანებით დამტკიცებული პროგრამებისა“.

უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც, ვებგვერდზე მოყვანილი ინფორმაციით, რეალურად ჰქვია ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურში მითითებული, საფინანსო სამეურნეო და უსაფრთხოების სამსახური რეალურად არის საფინანსო სამეურნეო სამსახური, სტრუქტურაში არ არის კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტების რეგისტრაციის სამსახური და ა შ.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულია 2 პირი, რუსუდან ბერიძე და თეა თოდუა რომლებსაც უკავიათ ერთზე მეტი აკადემიური თანამდებობა სხვა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ შეიძლება ჩაეთვალონ აღნიშნულ დაწესებულებას, კონკრეტულ დაწესებულებასთან ავტორიზაციის მიზნებისათვის ასოცირების საკითხის გარკვევამდე.

3.2 აკადემიური პერსონალის შერჩევა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულების მიერ 2013 რექტორის ბრძანების საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. ინფორმაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ 24 საათში, 2013 წლის 26 ოქტომბერს. საბუთების შემოტანა ხორციელდებოდა 2013 წლის 28 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო 2013 წლის 6 დეკემბერს, რექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია. კომისიის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით აკადემიური თანამდებობები დაიკავა 28 აკადემიურმა პერსონალმა.

ამასთან, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, თინათინ ზალდასტანიშვილთან გასაუბრებით დაზუსტდა რამდენიმე დეტალი: გალიბ გაჯიევმა და

გაგან გასანლიმ ვერ გაიარეს გასაუბრების საფეხური ლექციების ჩასატარებლად საჭირო ქართული ენის ცოდნის დონის არ ქონის გამო, ნონა ჭანტურიას უარი ეთქვა პროფესორად მიღებაზე აკრედიტაციის ცენტრის ანალოგიური მოთხოვნის გამო, თუმცა საკონკურსო კომისიის დოკუმენტაცია აღნიშნულ შეფასებებს არ მოიცავს.

ასევე, დაფიქსირებულია შემდეგი ხარვეზი: მაია ბოლაშვილს საკონკურსოდ განცხადება შემოტანილი აქვს ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე და არჩეულია ასისტენტად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილ ზოგიერთ შენიშვნას და მოცემულ ხარვეზებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს წარმოუდგინა შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მომზადებული წერილობითი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დაწესებულების პოზიციას.

წარმოგიდგენთ აღნიშნული წერილის შინაარსს:

ბატონებო და ქალბატონებო, მადლობას მოგახსენებთ, რომ მოგვეცით საშუალება ვუპასუხოთ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში გამოთქმულ შენიშვნებსა თუ მოსაზრებებს. მადლობას მოვახსენებთ ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა, იმედი გვაქვს, არ გაგაკვირვებთ და შენიშვნებს არ ვეთანხმებით.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დებულებაში მკვეთრად არის გამიჯნული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, თუმცა ექსპერტებმა უნივერსიტეტში ვიზიტისას უფრო აკრედიტაციის სტანდარტებზე გააკეთეს ორიენტაცია და არა ავტორიზაციის. აქვე დავძენთ, რომ დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერენ ექსპერტები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ნაცვლად წერია აკრედიტაციის ცენტრი. სასწავლო უნივერსიტეტს კი ასეთ ტექნიკურ შეცდომებზე მიუთითებენ და ამ ტექნიკურ შეცდომებს წარმოაჩენენ, როგორც ხარვეზს. მაგალითად: "უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ვებგვერდზე რეალურად წერია ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახური". ამას მხოლოდ იმ მიზნით ვწერთ, რომ საბჭოს წევრები თავიდანვე ჩაგაყენოთ საქმის კურსში, თუ რა ტიპის ხარვეზებს წარმოაჩენენ ექსპერტები დასკვნაში.

მოგახსენებთ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის საძიებლად (ავტორიზაციისათვის) შპს-მ „ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტმა" მეორედ შემოიტანა განაცხადი. პირველი ვიზიტი განახორციელა ექსპერტთა ჯგუფმა: ლელა ქელბაქიანი (თავმჯდომარე), ელენე გვენცაძე, თამარ გვიანიშვილი. იმ პერიოდისათვის საავტორიზაციოდ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო საბაკალავრო პროგრამები: კომპიუტინგი; ქართული ენა და ლიტერატურა-ფილოლოგია; აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა-ფილოლოგია; ეკონომიკა; ფინანსები; ისტორია (6 საბაკალავრო პროგრამა) და სამაგისტრო პროგრამები: ისტორია; ქართული ფილოლოგია; კომპიუტერული ინფორმაციული სისტემები (3 სამაგისტრო პროგრამა).

დღეს ავტორიზაციის განაცხადში წარმოდგენილი გვაქვს ორი საბაკალავრო პროგრამა: კომპიუტინგი; ქართული ენა და ლიტერატურა და ერთი სამაგისტრო პროგრამა: ქართული ლიტერატურა. გავითვალისწინეთ ყველა შენიშვნა (უმნიშვნელოც და მნიშვნელოვანიც) რაც დასკვნაში გვეწერა და ისევ შემოვიტანეთ განაცხადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად.

1. ვეთანხმებით ექსპერტთა ჯგუფს სამაგისტრო პროგრამის ქართულ ლიტერატურაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ, რადგან პროგრამის სახელწოდება შეცდომით

გადავიტანეთ მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფაში. მადლობა ექსპერტებს, რადგან ეს ნამდვილად მიიჩნიეს ტექნიკურ შეცდომად - „აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ამ პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი იყო „მაგისტრი ფილოლოგიაში“.

2. რაშიც ექსპერტებს ვეთანხმებით და რასაც აუცილებლად გავასწორებთ, ესაა სასწავლო კურსი ქართული ენა (სტილისტიკა), რომლის წინაპირობაა ლექსიკოლოგია და ორივე ისწავლება მე-5 სემესტრში.

რაც შეეხება სხვა შენიშვნებს, ვაცხადებთ რომ ამ შენიშვნებს არ ვეთანხმებით შემდეგი არგუმენტების გამო:

1. ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ანაწილებს და განსაზღვრავს მხოლოდ საკონტაქტო საათების რაოდენობას და არა დამოუკიდებელი მუშაობით განსაზღვრული საათების განაწილების სქემას. სტუდენტები თვითონ ანაწილებენ დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ საათებს თავიანთი საჭიროებების (კოლოკვიუმი, გამოცდა და ა.შ.) მიხედვით. შესაბამისად, ექსპერტების ვარაუდი გამოცდის ჩასაბარებლად გათვალისწინებულ 3 საკონტაქტო საათის შესახებ სრულიად გაუგებარია. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნავენ „მითითებული 3 საათი არის გამოცდის ჩაბარებისათვის გათვალისწინებული საკონტაქტო საათი, რადგან სილაბუსის სხვა ნაწილშიც და პროგრამაშიც გამოცდის ჩასაბარებლად მითითებულია 3 საკონტაქტო საათი“. ექსპერტთა ამ შეფასებიდან გამომდინარე სრულიად გაუგებარია რას ეხება შენიშვნა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ყველა სილაბუსში, გრაფებიდან „სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი“ და „კურსის მოცულობა ECTS-ში“ გამომდინარეობს, რომ ზემოაღნიშნული სადავო საათები საკონტაქტო საათებს მიეკუთვნება.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა და არა როგორც ექსპერტები უშვებენ ტექნიკურ შეცდომას დასკვნაში, ქართული ფილოლოგიის პროგრამა. რატომღაც საკამათო გახდა პროგრამის მიზანი, სადაც მითითებულია, რომ მომავალი სპეციალისტის უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევებს. გვთავაზობენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო ჩამონათვალს: თეოლოგიას, ეთნოლოგიას, ხელოვნებათმცოდნეობას და გადადიან შენიშვნებზე, თუ რატომ არ გვაქვს პროგრამაში მითითებული შესაბამისი თემატიკა და რატომ ამოვწურეთ პროგრამა ქართული ფილოლოგიის საკითხებით. შედეგად დასკვნაში წერენ, რომ სახეზეა შეუსაბამობა პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის შინაარსს შორის. კოლეგებო, განსახილველად წარმოვადგენთ ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ეკუთვნის და დიდი გამჭრიახობა და ვარაუდი არაა იმისათვის საჭირო, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერების, ამ შემთხვევაში ქართული ფილოლოგიის თანამედროვე მიღწევებს ვგულისხმობთ. პროგრამის მიზანი „ჰუმანიტარული მეცნიერების“(ანუ ერთი მეცნიერების, ამ შემთხვევაში-ქართული ფილოლოგია) მიღწევებს ეფუძნება და არა ჰუმანიტარული მეცნიერებების. განსხვავება მხოლოდ მხოლობით და მრავლობით რიცხვშია. გასაგებია, რომ ექსპერტები ელემენტარულ შეცდომას უშვებენ, შესაბამისად, შენიშვნა ვერ გავიზიარეთ.

3. საკამათო გახდა ექსპერტთათვის დასაქმების სფერო: საჯარო და კერძო სკოლები, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია სკოლაში მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, ექსპერტებმა „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ არ თუ

ვერ წაიკითხეს, გადაწყვიტეს ესეც შენიშვნად დაეწერათ. შესაბამისად, არც ამ შენიშვნას ვიზიარებთ.

4. პროფესიული პრაქტიკის მიზნები ეჭვქვეშ დააყენეს ექსპერტებმა, რადგან ივარაუდეს, რომ სტუდენტებს არ ექნებათ შესაძლებლობა პროფესიული პრაქტიკა, სკოლის გარდა, დასაქმების სხვა სფეროებშიც გაიარონ. შემდგომ ვარაუდი ფაქტად მიიღეს და ამიტომ პროგრამის შინაარსიც არაადეკვატურად წარმოაჩინეს. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, როგორც შეუძლებელია დასაქმების სფეროს ამომწურავად განსაზღვრა, ასევე ნებისმიერ, თეორიულად დასაშვებ დასაქმების ადგილას პრაქტიკის გავლა. აღნიშნულის საწინააღმდეგო დაშვებას მივყავართ იქამდე, რომ სტუდენტმა პროფესიული პრაქტიკა უნდა გაიაროს ყველა შესაძლო დასაქმების ადგილას, რაც შეუძლებელია. ექსპერტთა შენიშვნა ან შენიშვნების რაოდენობის გაზრდას ემსახურება, ან მათ მცდარი წარმოდგენა აქვთ პროფესიული პრაქტიკის ამოცანებზე. როგორც მოგახსენეთ, შეუძლებელია პროფესიული პრაქტიკის გავლა ნებისმიერ შესაძლო დასაქმების ადგილას. ბატონებო, დამატებით გაითვალისწინეთ, რომ ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, წელს ჩვენ სტუდენტებს ვერ მივიღებთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანკეტა-კითხვარი - ბაკალავრიატში სტუდენტების მიღების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში იგზავნება ოქტომბერში, ანუ ჩვენ უფლება გვექნება 2014 წლის ოქტომბერში წარვადგინოთ ანკეტა-კითხვარი 2015-2016 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტისათვის და სანამ ჩვენი სტუდენტები პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსს გაივლიან, სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან კიდევაც რომ გვქონდეს დადებული ხელშეკრულება, მას 4 წელიწადში ვადა ექნება გასული და ხელახალი ხელშეკრულება იქნება გასაფორმებელი. შესაბამისად, ვერც ეს შენიშვნა იქნება გაზიარებული.

5. სასწავლო კურსების - ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობები, ქართულ-აზერბაიჯანული ენობრივი ტიპოლოგია, ქართველოლოგია, ანტიკური ლიტერატურა, ქართული საბავშვო ლიტერატურა - არჩევითი სასწავლო კურსებია და დამამთავრებლ სემესტრში ისწავლება, ამიტომაა განსაზღვრული წინაპირობად „დარგობრივი კომპეტენციის სავალდებულო კურსები". შესაბამისად, ამ შენიშვნას ვერ გავიზიარებთ. არავითარი პრობლემა არ არის იმაში, რომ არჩევითი კურსების შესწავლის წინაპირობად სავალდებულო კურსების გავლა იყო გათვალისწინებული.

6. შემდეგი შენიშვნა ეხება სასწავლო კურსს „ქართულ-აზერბაიჯანული ენობრივი ტიპოლოგია", რომლის ძირითადი ლიტერატურა აზერბაიჯანულ ენაზეა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აზერბაიჯანული ენა არაა გათვალისწინებული. გაითვალისწინეთ, რომ ეს არის არჩევითი კურსი და თუ სტუდენტს არ ექნება მისი შესწავლისთვის საჭირო ენობრივი კომპეტენცია, ის უბრალოდ არ აირჩევს მას. აღნიშნული კურსის შეთავაზება განპირობებულია რეგიონის თავისებურებით, სასწავლო უნივერსიტეტის ადგილ-მდებარეობითა და სასწავლო უნივერსიტეტის მისიით. ამასთან, სილაბუსით, დამატებით ლიტერატურად ქართულენოვანი სახელმძღვანელოა მითითებული, რაც სტუდენტებს დაეხმარება სასწავლო კურსის დაძლევაში, მითუმეტეს, რომ კურსი ქართულ ენაზე ისწავლება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვართ, რომ ეს კითხვა მოიხსნება.

7. განხილვას არ საჭიროებს ექსპერტების შენიშვნები ზოგიერთი სასწავლო კურსების შესახებ, როცა პროფესორს ავტორიზაციის ექსპერტები უსაზღვრავენ რა სასწავლო კურსი რომელი წიგნით ასწავლონ და როგორ მიაღწიონ შედეგს, რა იგულისხმება ახალ ქართულ ლიტერატურაში და რა უახლეს ლიტერატურაში. ერთი, რომ ფილოლოგის კვალიფიკაცია

არცერთ ექსპერტს არ აქვს, მეორე, რომ ეს აკრედიტაციის ექსპერტების განხილვის სფეროა და რაც მთავარია, მესამე, ექსპერტები თავს უფლებას აძლევენ აკადემიურ პერსონალს შეუზღუდონ აკადემიური თავისუფლება. შესაბამისად, ვერც ამ შენიშვნას ვერ გავიზიარებთ.

8. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობა მიუღწევადად მიაჩნიათ ექსპერტებს, რადგან წინაპირობაში აქაც დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, ნაცვლად სასწავლო კურსებისა უნდა ეწეროს სავალდებულო სასწავლო კურსები და ის 5 სასწავლო კურსი, რომელიც ისწავლება საბაკალავრო ნაშრომთან ერთად ყველა არჩევითი კურსია. მათ მოისმინეს განმარტება ამის შესახებ, მაგრამ რატომღაც არ ითანამშრომლეს სასწავლო უნივერსიტეტთან.

9. საგანმანათლებლო პროგრამაშიც, სასწავლო გეგმაშიც და სილაბუსშიც მითითებულია ინგლისური ენა და რადგან სწავლის შედეგების რუკაში უცხო ენაა მითითებული, ამიტომ შენიშვნების რიცხვიც გაზარდეს ექსპერტებმა.

10. სწავლების მეთოდოლოგიაში შენიშვნა მოლოდინს აჭარბებს. კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამაში სწავლების მეთოდად პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი სხვადასხვა შინაარსით არის მითითებულიო, ბრძანებენ ექსპერტები. ეს მეთოდი თითქმის ყველა სილაბუსში გვხვდება და მისი შინაარსიც ერთგვაროვნად არის განმარტებული. ერთ კონკრეტულ სილაბუსში გაპარულია ტექნიკური შეცდომა, სადაც მეორე ადგილას ამ მეთოდის განმარტება დასრულებულ აზრსაც კი არ შეიცავს, რაც ცალსახად მიუთითებს ტექნიკური ხარვეზის არსებობაზე.

11.„დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში და სასურველია დამატებითი სპეციალობა მოიცავდეს 60 კრედიტს. დაწესებულება უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს დამატებითი სპეციალობა“ (იხ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N188 07.04.2011 მუხლი 14. პუნქტი 4 და 5) და რა სახის მაინორის პროგრამას შესთავაზებს სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტს დამატებითი კომპეტენციების მისაღწევად, ეს მისი უფლებაა, მითუმეტეს რომ დამატებითი სპეციალობა კვალიფიკაციას არ ანიჭებს. შესაბამისად, ვერც ეს შენიშვნა ვერ გავიზიარეთ.

12.რაც შეეხება სასწავლო კურსებში „ფინანსები“ და „ფინანსების თეორია“ თემების გადაფარვას, აქაც სრულიად განსხვავებული მოსაზრება გვაქვს და ვერ დავეთანხმებით ექსპერტებს, რადგან აღნიშნული თემატიკა „ფინანსების თეორიაში“ ისწავლება თეორიული კუთხით, ხოლო „ფინანსებში“ კი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

13.კატალოგთან დაკავშირებით გავითვალისწინეთ ქალბატონი ქელბაქიანის ჯგუფის შენიშვნები, გავასწორეთ და მიუხედავად ამისა, ახალ პრობლემას გადავაწყდით, რადგან ამ საკითხის მიმართ ექსპერტთა ჯგუფმა სრულიად განსხვავებული მიდგომა გამოავლინა. ქელბაქიანი წერს კატალოგში შეფასების სისტემის შესახებ, მივიღეთ შენიშვნა და გავასწორეთ კატალოგი. ხოლო ექსპერტი მიგვითითებს დარგობრივ კომპეტენციებზე. დავიჯეროთ, იმდენ შენიშვნებში ქალბატონი ქელბაქიანის ჯგუფს გამორჩა კომპეტენციები? ამიტომაც არ ვეთანხმებით ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა მზად ვართ ვიმუშაოთ ამ საკითხზე.

14.იგივე შეიძლება ვთქვათ სწავლის შედეგებში აღწერილ დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესახებ, თუმცა აქ სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ „იცავს პრაქტიკაში ეთიკურ ნორმებს“ ღირებულებებია და არა ცოდნა და გაცნობიერება, რასაც აუცილებლად გავასწორებთ შესაბამის პროგრამაში.

15. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

6. [illegible]

დირექტორის ბრძანება N188 07.04.2011 წ. ქ.თბილისი) განსაზღვრავს შემდეგს: მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება - 1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ამ პროგრამის სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით. 2. თუ დაწესებულებაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე დაწესებულება ვალდებულია, სხვა დაწესებულებასთან გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს."

სასწავლო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულების" 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „თუ დაწესებულებაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულება ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე გააფორმოს მემორანდუმი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მობილობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, წინასწარ უზრუნველყოს მიღებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრა." რაც თანხვედრაშია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 188 ბრძანების მე-16 მუხლთან.

მეორე პუნქტის თანახმად, პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე დაწესებულებამ უნდა გააფორმოს სხვა დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და გადაწყვეტილება აცნობოს ცენტრს. ფაქტია, რომ აქედან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტს არ ევალება, შედეგის დადგომამდე გააფორმოს ხელშეკრულება არდამდგარ შედეგზე სხვა უნივერსიტეტთან და არდამდგარი შედეგი აცნობოს ცენტრს. შესაბამისად, შენიშვნა იმის შესახებ, რომ დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა უნივერსიტეტებთან მემორანდუმები, ვერ იქნება გაზიარებული.

16. კომპიუტინგის პრაქტიკის ბაზა. სასწავლო კურსის მიზნებში მითითებულია: კურსის მიზანია კომპიუტერული გრაფიკის და ვიზუალიზაციის ფუნდამენტური ცნებების შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქციის დაუფლებისას; შეასწავლოს კომპიუტერული გრაფიკის მათემატიკური და ალგორითმული საფუძვლები; ციფრული გამოსახულების ვიზუალიზაცია, კომპიუტერული გრაფიკის პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფა; ვექტორული და რასტრული გრაფიკული პროგრამები. აქ არ არის დაკონკრეტებული ერთი რომელიმე გრაფიკული რედაქტორი (გრაფიკული რედაქტორი ეს იგივე გრაფიკული პროგრამაა) სილაბუსში განხილულია როგორც რასტრული, ისე ვექტორი და 3D გამოსახულებების შექმნის მათემატიკური და ალგორითმული საფუძვლები. გამოსახულების შექმნა კი შეუძლებელია რედაქტორების გარეშე, გამოსახულებებზე მუშაობა თავისთავად გულისხმობს ამ რედაქტორების შესწავლასაც (ეს არის რასტრული გრაფიკის, ვექტორული გრაფიკის რედაქტორები და 3D ტექნოლოგიები). სასწავლო კურსის მიზანია არა კონკრეტულად ერთი რედაქტორის შესწავლა, არამედ გრაფიკის სახეობების, გრაფიკული გამოსახულების ფორმატების, ფერთა ძირითადი მოდელების, სხვადასხვა ტიპის რედაქტორებში მუშაობის თავისებურებების, მიდგომების, სხვადასხვა მოდელების განხილვა და შესწავლა. სასწავლო კურსის განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი რედაქტორების საშუალებით. რასტრული გრაფიკული პროგრამები: Corel Painter, Adobe Photoshop.

ექტორული გრაფიკული პროგრამები: Corel Draw, Adobe Illustrator, CorelXara, Xara Xtreme. 3D-მოდელირებისათვის განკუთვნილი რედაქტორები: 3D Max, Maya, Zbrush.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო კურსის ფარგლებში მართლაც ისწავლება საკითხები ცხრილური რედაქტორი EXCEL-ის გარშემო, სადაც ეს საკითხები განხილულია ზოგად დონეზე. ბუნებრივია, მიღებული ზოგადი ცოდნა მომავალი კვალიფიცირებული სპეციალისტისათვის არასაკმარისია და, შესაბამისად, სასწავლო კურსში „ცხრილური რედაქტორი EXCEL" ეს საკითხები განხილულია უფრო დაწვრილებით და ღრმად (სწავლება მიმდინარეობს ლოგიკურად: მარტივიდან რთულისკენ). შესაბამისი ლოგიკით ისწავლება აღნიშნული საკითხები მითითებული ლიტერატურით.

უნივერსიტეტს აქვს პროგრამული უზრუნველყოფისათვის ყველა საინსტალაციო ჩანაწერი. ამ პროგრამების კომპიუტერში ჩატვირთვა მოხდება სასწავლო კურსების საჭიროებებიდან გამომდინარე. რაც შეეხება სასწავლო პრაქტიკის ბაზას, ამ შემთხვევაშიც ვერ დავეთანხმებით ექსპერტებს. ნებისმიერი მუშა კომპიუტერის მაგალითზე აბსოლუტურად შესაძლებელია როგორც დაშლა-აწყობის, ასევე სხვადასხვა ნაწილების შესწავლა და სრულიად არ არის აუცილებელი დაშლილი კომპიუტერი. რაც მთავარია ჩვენ განაცხადი შემოვიტანეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მისაღებად და არა პროფესიული კოლეჯის სტატუსის მაძიებელზე. კოლეგებო, ჩვენ არ ვამზადებთ ტექნიკოსებს და არ ვანიჭებთ პროფესიულის რომელიმე საფეხურის კვალიფიკაციას. ჩვენ ვამზადებთ კომპიუტინგის ბაკალავრებს.

17. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა მოიცავს ყველა აუცილებელ და მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე სამსახურს. ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას და ამას, რასაკვირველია ხელს არ უშლის ექსპერტების მიერ ხარვეზად მიჩნეული ჩანაწერი "უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ვებგვერდზე რეალურად წერია ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახური". აქვე დავძენთ, რომ ეს გარკვეული სხვაობები გამოწვეულია ვებგვერდის განახლებით.

18. აკადემიური პერსონალის რაოდენობა სასწავლო უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის „გ.ბ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე (მინიმუმ 15 პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი. თვითშეფასების კითხვარში მითითებული რაოდენობაც კი აკმაყოფილებს ამ სტანდარტს. ექსპერტებმა კი „აღმოაჩინეს", რომ დაწესებულებას უფრო მეტი პერსონალი ჰყოლია. გაუგებარია რა მიზანს ემსახურებოდა ექსპერტების მიერ ამ „მნიშვნელოვანი" გარემოების დასკვნაში ასახვა, მაგრამ ფაქტია, რომ ის ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ავტორიზაციის სტანდარტებზე. საბჭოს პატივისცემიდან გამომდინარე მაინც განვმარტავთ ამ შეუსაბამობის მიზეზს - დაწესებულებამ ჩათვალა, რომ პერსონალის რაოდენობაში არ გაეთვალისწინებინა ის პირები, რომლებიც მხოლოდ მაინორ პროგრამების განხორციელებაში იყვნენ ჩართულნი. შესაძლოა, ამის აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ გამოვიდა, რომ რაოდენობა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. თეორიულად, შესაძლოა გაზრდა ყოფილიყო პრობლემა და არა შემცირება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არც გაზრდას და არც შემცირებას არ შეეძლო დაწესებულებისთვის რამე შეეცვალა პერსონალის საკმარისობის სტანდარტის დაკმაყოფილების ნაწილში. რაც შეეხება, მაია ბოლაშვილს – მან ასისტენტ-პროფესორობაზე განაცხადი შემოიტანა იქიდან გამომდინარე, რომ არის დოქტორანტი და ხელმძღვანელობდა ძველი კანონმდებლობით. დიდი ხანი არ არის, რაც შეიცვალა კანონმდებლობა, შემოვიდა ასისტენტის თანამდებობა, ხოლო დოქტორანტი ვეღარ გახდება ასისტენტი. მაია ბოლაშვილს სურდა იმ თანამდებობის დაკავება, რაც შეეძლო

ნ. ...

როგორც დოქტორანტს, სხვანაირი ამბიცია შეუძლებელია მას ჰქონოდა, ვინაიდან მისი სტატუსი არ იქნებოდა საკმარისი. მაია ბოლაშვილმა საკითხის გარკვევის შემდეგ შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურა რომ სურდა ასისტენტობა, ანუ იმ თანამდებობის დაკავება, რაც მას, როგორც დოქტორანტს, შეეძლო.

მოგახსენებთ, რომ არცერთი ასეთი ტიპის შენიშვნა არ ყოფილა დაფიქსირებული ექსპერტების მიერ წინა ვიზიტზე (იხილეთ დასკვნა). სასურველია, ექსპერტებს შემუშავებული ჰქონდეთ საკითხებისადმი ერთიანი მიდგომა და ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებულ, შეფასებას არ უნდა წერდეს ერთი და იმავე პროგრამის შესახებ.

სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა შენიშვნა და საგანმანათლებლო პროგრამები გასწორებული იქნა წინა დასკვნის მიხედვით. ამიტომაც არ ვეთანხმებით ექსპერტთა ჯგუფს. მითუმეტეს, რომ ისინი საგანმანათლებლო პროგრამებს ძირითადად აფასებდნენ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, აღარ ვაპირებთ ექსპერტთა ჯგუფთან პოლემიკაში ჩართვას და მით უფრო - დავას, ჩვენ ეს გზა უკვე გავიარეთ, შევცვალეთ და გამოვასწორეთ ყველაფერი რაც ქალბატონ ლელა ქელბაქიანის ჯგუფის მიერ იყო დახარვეზებული და შემოვიტანეთ განაცხადი სტატუსის მაძიებლად. ექსპერტთა ახალმა ჯგუფმა დაწერა დასკვნა, ძველი დასკვნისაგან სრულიად განსხვავებული შენიშვნებით. თუ ქელბაქიანის ჯგუფი ორიენტირებული იყო ავტორიზაციის სტანდარტებზე, ახალმა ჯგუფმა თავი გამოიჩინა აკრედიტაციის სტანდარტების ცოდნითა და ტექნიკური ხარვეზების აღმოჩენით. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მთავარი მიზანი კი არის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების მიერ, ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში მოცემული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულების გადაწყვეტილებით გაუქმდა.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ექსპერტი, როდესაც წერდა, რომ ქართული ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული დასაქმების სფერო - კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დასაქმება არ შესაბამება კანონმდებლობას, ვინაიდან ამ პროგრამის და დაწესებულებაში არსებული მაინორ პროგრამების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული ვერ შეძლებს ვერც დაწყებითი კლასების მასწავლებლად და ვერც საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად დასაქმებას. ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებული ვერ შეძლებს, ვერც დაწყებითი და ვერც საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლად დასაქმებას, ვინაიდან კანონმდებლობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდებს მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში და შესაძლებელია იყოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, რომლის დასრულების შემდგომაც გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

კანონმდებლობის მიხედვით, საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და დაწესებულებაში არსებული მაინორ პროგრამების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული ვერ შეძლებს ვერც დაწყებითი კლასების მასწავლებლად და ვერც საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად დასაქმებას.

საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, მენეჯმენტისა და ფინანსების დამატებით პროგრამებში საგნების პრერეკვიზიტებთან დაკავშირებული შენიშვნები არ იყო არსებითი ხასიათის. აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის სტრუქტურა ასევე არათანმიმდევრულია, კორპორაციული მენეჯმენტის სასწავლო კურსს არ ჰქონდა წინაპირობები, რაც გაურკვეველია, ვინაიდან სასწავლო კურსის თემატიკა განიხილავს ეკონომიკის კატეგორიებს, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანალიზისა და ეკონომიკისა და მენეჯმენტის სხვა ინსტიტუტებს, რომელშიც კომპეტენცია კომპიუტინგის პროგრამის ძირითად სპეციალობის კურსდამთავრებულებს პრერეკვიზიტი საგნების გავლის გარეშე ვერ ექნებათ. ასევე წინაპირობა არ ჰქონდა ამავე პროგრამის ინვესტიციებისა და პროექტების მართვის სასწავლო კურსს, რომელშიც მოცემული იყო ინვესტიციების ფინანსური ანალიზის, მარჟის გაანგარიშების, საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ცნებები. არ აქვს წინაპირობა ასევე სტრატეგიულ მენეჯმენტს, ინოვაციურ მენეჯმენტს, ფინანსური რისკების მენეჯმენტს, პროექტების მენეჯმენტს - რომლებიც ეყრდნობა მენეჯმენტის კურსის საკითხებს. ანალოგიური სიტუაცია იყო ფინანსების დამატებით პროგრამაში, რომლის სასწავლო კურსები, საინვესტიციო საქმე, ფინანსური ეკონომიკა, საჯარო ფინანსები, ფინანსები და კრედიტი, ფინანსური აღრიცხვა და სხვა ისწავლება წინაპირობების გარეშე. ამავე დროს, სასწავლო კურსებში „ფინანსები" და „ფინანსების თეორია" არსებობს მნიშვნელოვანი თემატიური გადაფარვები - თემა: ფინანსური პოლიტიკა და ფინანსების მართვა ფინანსები II კვირა, ფინანსური თეორია - III კვირა, თემა: საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა - ორივე სასწავლო კურსში V კვირა, თემა: სახელმწიფო ბიუჯეტი, ხარჯები და შემოსავლები - ორივე სასწავლო კურსში VII კვირა, არასაბიუჯეტო სპეციალური - ორივე სასწავლო კურსში VIII კვირა და ა.შ.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ორივე დამატებითი პროგრამა წარმოადგენდა კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამის ნაწილს და შესაბამისად მასში არ ისწავლებოდა ის ეკონომიკური პროფილის საგნები, რომლებიც აუცილებელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპეტენცია კომპიუტინგის პროგრამის ძირითად სპეციალობის კურსდამთავრებულებს აღნიშნული პრერეკვიზიტი საგნების გავლის გარეშე ვერ ექნებათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზვიად არძენაძემ განმარტა, რომ კურსდამთავრებულები პრერეკვიზიტების საგნების გარეშეც შეძლებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლას. ამასთან, ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს დამატებითი სპეციალობა და რა სახის მაინორის პროგრამას შესთავაზებს სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტს დამატებითი კომპეტენციების მისაღწევად, ეს მისი უფლებაა, მითუმეტეს რომ დამატებითი სპეციალობა კვალიფიკაციას არ ანიჭებს. შესაბამისად, დაწესებულების მხრიდან, ვერც ეს შენიშვნა ვერ იქნება გაზიარებული.

6.ნ6/80

ფილოლოგიის პროგრამაში ძირითად ლიტერატურსთან დაკავშირებული ხარვეზების განხილვა, რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, იყო აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენცია, ვინაიდან ავტორიზაციის საბჭო ვერ იმსჯელებდა გადიოდა თუ არა რომელიმე სასწავლო წიგნი სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგებზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმაც.

ქართული ფილოლოგიის კურსდამთავრებულების სკოლებში მასწავლებლად დასაქმების საკითხთან დაკავშირებით, ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია სკოლაში მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასე რომ , კურსდამთავრებულს საბაკალავრო 240 კრედიტის ათვისების შემდგომ შეუძლია გაიაროს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა და დასაქმდეს მასწავლებლად.

დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს დაფიქსირებული იყო თუ არა შენიშვნები დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ვინაიდან 2013 წელს ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ხარვეზებიდან, ერთ-ერთი არსებითი იყო მატერიალური რესურსი. ექსპერტმა გიორგი რამიშვილმა აღნიშნა, რომ შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი იყო დამაკმაყოფილებელი.

კომპიუტერული პროგრამების არსებობასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ყველა კომპიუტერული პროგრამა ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა, ვინაიდან სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა, კომპიუტერებში არ იყო ჩატვირთული.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, ფუნქციონირებდა თუ არა სასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი ლიცენზირებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა.

სხდომაზე 17:17 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ჩინჩალაძემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რევაზ აფხაზავა.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხზე და დაადგინეს, რომ შენიშვნების ნაწილი იყო არაარსებითი ხასიათის, ნაწილი, საბჭოს მხრიდან, არ იქნა გაზიარებული. თუმცა, საბჭომ მიიჩნია, რომ დასკვნაში არსებული ზოგიერთი შენიშვნა იყო არსებითი ხასიათის, კერძოდ:

1. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი იყო სპეციალისტის, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები დაეფუძნებოდა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევებს, მომზადება. ამასთან, პროგრამაში არ იყო გაშუქებული,

კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიკუთვნებულ ეთნოლოგიის, თეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის და ჰუმანიტარული მიმართულების სხვა მეცნიერებების არათუ თანამედროვე მეცნიერული მიღწევები, არამედ შესაბამისი დარგის თემატიკა. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა გულისხმობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აკადემიური ხარისხის მინიჭებას, ხოლო მისი სასწავლო კურსები მარტოოდენ ფილოლოგიის ქვედარგით - ქართული ფილოლოგიით იყო ამოწურული, სახეზე იყო შეუსაბამობა პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის შინაარსს შორის. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად, კურსდამთავრებულს ენიჭებოდა აკადემიური ხარისხი „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში (Master of Human Sciences in Georgian Literature)". რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ავტორიზაციის სტანდარტს.

2. არსებითი ხასიათის შენიშვნად იქნა მიჩნეული საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაფიქსირებული ხარვეზები, რომლებიც ეხებოდა პროგრამების არათანმიმდევრულ სტრუქტურასა და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებს. აღნიშნული ხარვეზი ახასიათებდა, როგორც წარმოდგენილ ყველა ძირითად, ასევე დამატებით პროგრამას.

3. არსებითი ხასიათის შენიშვნებად იქნა მიჩნეული ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ის ხარვეზები, რომლებიც ეხებოდა სასწავლო კურსების მიზნების, შედეგებისა, შინაარსისა და სასწავლო მასალის ერთმანეთთან შეუსაბამობას.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწესებულებას მიენიჭოს ავტორიზაცია და ეთხოვოს ცენტრის მონიტორინგის სამსახურს, ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების, ზემოაღნიშნული პუნქტების გამოსწორების მონიტორინგის მიზნით, 1 თვის ვადაში განახორციელოს ვიზიტი შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, თუ როდის დაიწყებოდა აღნიშნული 1 თვიანი ვადის ათვლა. რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ 1 თვიანი ვადის ათვლა დაწესებულებისთვის დაიწყებოდა იმ მომენტიდან, როდესაც საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და ოქმი გამოქვეყნდებოდა ცენტრის ვებგვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრა. ექსპერტმა გიორგი რამიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აღნიშნული რაოდენობის სტუდენტისთვის შეეძლო შეექმნა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა: საბჭოს მდივანმა - ანა ბახტურიძემ და საბჭოს წევრმა - ლილი ბიბილაშვილმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202205130) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 18:15 საათზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ნინო ჩინჩალაძე

რევაზ აფხაზავა

მდივანი:
ანა ბახტურიძე